ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01173111347**

თარიღი: **07.11.2017**

ადრესატი:
რუსლან აბაშიძე
პირადი ნომერი: 62014000046
მისამართი: გაგრა ს. კოლხიდა პარკის ქ. N 12

ბატონო რუსლან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N19/01172122891-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების 1 (ერთი) ეგზემპლარი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№19/01172122891-14

"02" 11 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი კრწანისი, ქუჩა გორგასალი, გამწვანების კანტორამდე, რუსთავში მიმავალი გზის მარცხენა მხარეს, ნაკვეთი 03/031/ქუჩა გორგასალი, რუსთავში მიმავალი გზის მარცხენა მხარეს (საკ. კოდი №01.18.10.003.061) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სამელიორაციო და საირიგაციო ნაგებობა (წყლის სატუმბი სადგური) – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2748185 01.08.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი კრწანისი, ქუჩა გორგასალი, გამწვანების კანტორამდე, რუსთავში მიმავალი გზის მარცხენა მხარეს, ნაკვეთი 03/031/ქუჩა გორგასალი, რუსთავში მიმავალი გზის მარცხენა მხარეს მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ტერიტორიაზე შესასვლელ კართან დამატებულია ბაქანი და საფეხური.

I აწევის სატუმბო სადგური

შეცვლილია სატუმბო სადგურის სამონტაჟო მოედნის და მოაჯირის გაბარიტი და კონფიგურაცია. დამატებულია ლითონის კონსტრუქცია და შეცვლილია მოაჯირის ნახატი.

II აწევის სატუმბო სადგური

შეცვლილია შენობის ფორმა, სახურავის გაბარიტი და შემცირებულია ფანჯრების რაოდენობა.

„1-6" ფასადი: „2-3" მონაკვეთში კარის წინ დამატებულია ბეტონის ფილა.

„B-A" ფასადი: შეცვლილია კარის გაბარიტი და წინ მოწყობილია მცირე ზომის ბეტონის ფილა.

შენობის შიგნით გაუქმებულია ანტრესოლი და ანტრესოლთან დამაკავშირებელი კიბე. „1-3" მონაკვეთში შეცვლილია ლითონის სვეტების რაოდენობა. შეცვლილია ფერმების რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია ლითონის ელემენტების მოწყობა.

საკვანძო ჭა სადაწნეო მილსადენზე

შეცვლილია საკვანძო ჭის ირგვლივ მოაჯირის ნახატი.

საპირფარეშო

შეცვლილია საპირფარეშოს ფილის და ფანჯრის გაბარიტი.

ტერიტორიის შემომსაზღვრელი მავთულბადის ღობის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2

მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „პრიმერა გოლფ ანდ რეზიდენც"-ს, ქ. თბილისში, სექტორი კრწანისი, ქუჩა გორგასალი, გამწვანების კანტორამდე, რუსთავში მიმავალი გზის მარცხენა მხარეს, ნაკვეთი 03/031/ქუჩა გორგასალი, რუსთავში მიმავალი გზის მარცხენა მხარეს (საკ. კოდი №01.18.10.003.061) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სამელიორაციო და საირიგაციო ნაგებობა (წყლის სატუმბი სადგური) – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01172122891-17 31.07.2017წ. განცხადება.
№წ-19/01172122891-17 01.08.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**